# დროება

**ყოველდღიური სავოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 95 შაბათი, 1 მაისი 1910 წ. № 95

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდ განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ჩვენ არ ინახავთ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან 6-მდე. დღეების 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაჟის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან [illegible] შაური.

დამატებიანი ნომერი (ვფრიდა)—7 კაპ.



კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

განყოფილება პირველი:

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

### საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

განყოფილება მეორე:

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის“ (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

განყოფილება მესამე:

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. დიდი სარკე, ძროხა, ცხვრები, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

განყოფილება მეოთხე:

ფეიერვერკი ჭ ი ნ ჭ ი ლ ა შ უ შ ხ უ ნ ე ბ ი

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი. (8—7)

ზ. ს. ს. ს. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

შაბათს, 1 მაისს, 1910 წ.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ვ. გამყრელიძის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### ალღუმი

კომ. 4 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, გოდერძოვი, თამარაშვილი, ლეჟავა, ქიქოძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი: ანაშვილი, ბადრიძე, გოცირიძე, გამყრელიძე, ზურაბიშვილი, ინაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, ცაბაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 5-დან 50-კდე.

(2—2) ადმინისტრატორი ჭიაბერაშვილი. რეჟისორი კ. შათირიშვილი.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან: და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—166)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ტ. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—331)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—114)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—53)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—173)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—8

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელქიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—60)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—31)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულგარის პირდაპირ. 25—კვ.—33

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—424)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)


## ნიაღვარი ტფილისში

29 აპრილის საღამო მშვიდი და წყნარი იყო. ქუჩები და ბაღები სავსე იყო ხალხით, რომელიც დღის საგრძნობელ სიცხით შეწუხებული, საღამოთი გულს იბრუნებდა.

მეცხრე საათი რომ დაიწყო, უცებ აღმოსავლეთით ცაზე შავი ღრუბელი გამოჩნდა, ჩქარა ასტყდა საშინელი ქექა-ქუხილი. ამას მოჰყვა ქარი და ძლიერი, კოკისპირული წვიმა. საშინელმა ხმაურობამ და ღრიალმა ყველას თავზარი დასცა. წვიმას თან მოჰყვა სეტყვა.

ქუჩები საჩქაროდ დაცარიელდა. ხალხმა მაღაზიებსა, კერძო სახლებსა და მახლობელ ბაღების როტონდებს მიაშურა. ეტლებისა და ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შეჩერდა და ქუჩებზე საზარელის შხუილით ნიაღვარი მოვარდა. როგორც გამოირკვა, ხალხიდან ბევრი ქვეყნის ბოლოს მოლებას მოელოდა და ამ ამბავს გალეის კომეტას აბრალებდა.

საშინელმა წვიმამ ორ საათამდე გასტანა და მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი დიდის დაბრკოლებით ეტლებით სახლში დაბრუნება. ტრამვაის ვაგონების მოძრაობა მხოლოდ ზოგიერთ ადგილას განახლდა.

ნიაღვარმა მეტად დიდი ზარალი მოიტანა. განსაკუთრებით ღარიბი ოჯახები დაზარალდნენ. წყალმა ადამიანებიც იმსხვერპლა. ნიაღვარი საშინელის სისწრაფითა და ძლიერებით შევარდა კრასნოგორის და ოსიპოვის ქუჩის კუთხეში, სახლში № 10 და წყლით აავსო. ჩქარა გამოწვეულ იქმნა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ბევრის გადარჩენა მოასწრო, ხოლო ერთ ოთახში წყალმა დაახრჩო პოლიციელ ეგოროვის ცოლი ფრანცისკა და ხუთი წლის შვილი ალექსი.

ამას გარდა, ამბობენ, არსენალის დალმართიდან წყალმა მოიტაცა და მტკვარში ჩაიტან ერთი კაცი, ერთი ქალი და ბავშვი ვირით.

ბაღები და ხეხილებიც მეტად დაზარალდნენ. დაწვრილებით ზარალი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. ავჭალისა და სხვა ქუჩებში წყალი ბევრ სარდაფსა და სახლში შევარდა. ბევრგან დიდი წივილ-კივილი და საცოდაობა იყო.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი.

### ფინლიანდია

**ჰელსინგფორსი.** სეიმის საღამოს სხდომაზე გადაშინჯეს პასუხი საერთო საიმპერიო კანონმდებლობის შემოღების შესახებ. სიტყვები არავის წარმოუთქვამს, ახალი არაფერი შეტანილი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიაში ფინლიანდიის კანონ-პროექტის განხილვის დროს გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მთავრობა და იმის მომხრე კომისიის უმრავლესობა საჭიროდ არა სცნობენ დაიცვან თავიანთი პრინციპიალური პოზიცია, მათთვის ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია, მოწინაალმდეგეთა იურიდიულ საბუთებში არა სჩანს იურიდიული არგუმენტები. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მშრომელ ხალხის წარმომადგენელთა ღირსება ნებას არ აძლევს მას თვალყური ადევნოს კომისიის განმანადგურებელ მუშაობას. გეგეჭკორის განცხადებას მიემხრო მილიუკოვიც. კადეტებმა და სოციალ-დემოკრატებმა მიატოვეს კომისიის სხდომის დარბაზი. კომისიამ კვლავ განაგრძო კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა.

**ლონდონი.** სახელმწიფო სათათბიროში ფინლიანდიის საკითხის გამო გაიგზავნა ორი პეტიცია. ერთზე ხელი უწერია პარლამენტის 120 დეპუტატს, მეორეზე—43 ირლანდიელ დეპუტატს. ირლანდიელების პეტიცია მოკლეა და ურჩევს რუსეთის ხალხს დიდ კრება", უფლებას ნუ მისცემს მთავრობას მოსპოს ან შეამციროს ფინლიანდიის ძველადვე მონიჭებული თავისუფლებანი. ინგლისის პეტიცია უფრო ვრცელია; იქ ნათქვამია, რომ ფინლიანდიის კონსტიტუციონური უფლებებს საფრთხე მოელის. ფინლიანდია დიდი ხანია სარგებლობს ამ უფლებებით. ამავე მემორანდუმში ნათქვამია, რომ ინგლისის დეპუტატების მიმართვა სათათბიროსადმი სრულებით არა ნიშნავს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, დეპუტატებს მიმართვით უნდათ კვლავ დაიცვან ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველჰყოფს რუსეთისა და ინგლისის კეთილ განწყობილებას. დამყარდა თუ არა ფინლიანდიაში კონსტიტუციონური წესწყობილება, ინგლისის დამოკიდებულება ფინლიანდიასთან განმტკიცდა და თან და თან განვითარდა და რაც კი შეარყევს ფინლიანდიის კონსტიტუციონურ წესწყობილებას—ხელს შეუშლის ამ კეთილ განწყობილების განვითარებს. პეტიციაში მოყვანილია საერთაშორისო იურისტების აზრი და ასე თავდება: ჩვენ სიხარულით მივეგებებით რუსეთში კონსტიტუციის დამყარებას და დღევანდელ რეჟიმის დროს ჩვენ იმედით გავიყურებით წინ და გვწამს, რომ მომავალში რუსეთისა და ინგლისის ერები დაუახლოვდებიან ერთმანეთს. მაგრამ მეტად სამწუხარო იქნებოდა, თუ განახლებული რუსეთი დასაწყისშივე მოსპობს ფინლიანდიის კონსტიტუციას, რომელმაც ფრიად შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. ინგლისის პეტიციაზე უმთავრესად ხელი უწერიათ ლიბერალურ პარტიის წევრებს.

### ინგლისის მეფის გარდაცვალება.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატები სამგლოვიარო ტანისამოსში არიან გამოწყობილნი. ილაპარაკა პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა. ასკვიტმა წაიკითხა მეფე გეორგ მეხუთის მოწოდება, რომელიც აღნიშნავს მთელი ინგლისის მწუხარებას. შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ ინგლისი და ახალშენები კარგა ხანია არ დაივიწყებენ მეფე ედუარდის თავგანწირულ მოღვაწეობას, მის ბრძნულ მართველობას და მზრუნველობას ხალხის კეთილდღეობისთვისო. ასკვიტმა დეპუტატთა პალატას წინადადება მისცა მიეღოთ ორი რეზოლიუცია. ერთი რეზოლიუციით დეპუტატთა პალატა მწუხარებას გამოსთქვას მეფე ედუარდის გარდაცვალების გამო და ტახტზედ ასვლის ულოცავს მეფე გეორგ მეხუთეს, მეორეთი მწუხარებას უცხადებს ქვრივ დედოფალს. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა სთქვა: მეფე ედუარდის მეფობა დაუვიწყარი იქნება ინგლისის ხალხისთვის. ამ ხანაში ინგლისი, თავის მეფის წყალობით, დაუახლოვდა უცხო სახელმწიფოებს და მეგობრული კავშირი შეჰკრა მათთან. შინაურ საქმეებშიაც დიდი ნაყოფი მოიტანა განსვენებულმა მეფემ, სწორედ ამ ხანაში განხორციელდნენ და მომწიფდნენ სოციალური, ეკონომიური და კონსტიტუციონური რეფორმები გარეშე საქმეებში მეფე ედუარდის დიადი მოქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანობა მყარდებოდა და ისპობოდა ომის გამომწვევი მიზეზები. განსვენებულმა სამართლიანად დაიმსახურა მსოფლიო მშვიდობიანობის დამცველის სახელი. შინაურ ბრძოლაში მეფე პარტიების ბრძოლაზედ მაღლა იდგა და ყოველთვის ხელმძღვანელობდა ხალხის საერთო კეთილდღეობით. ჩვენი მეფე შინაურ საქმეებში გამოცდილი შუამავალი და მოსამართლე იყო და ამასთან კონსტიტუციონურ თავისუფლების დამცველი. მეფე საზოგადო ინტერესს ყოველთვის მაღლა აყენებდა, იგი ლოიალური და ჰუმანიური ადამიანი იყოო. ასკვიტი ლაპარაკის დროს ღელავდა, მან სთქვა—დეპუტატთა პალატა ქვრივ დედოფალს გულწრფელი მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებსო. ახალ მეფის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა, სხვათა შორის, სთქვა: ახალმა მეფემ ამ ჟამად ძალიან მძიმე ტვირთი იკისრა. ასეთი ტვირთი ადამიანს ძნელად თუ ხვდება წილად. ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ დავარწმუნოთ მეფე, რომ არამ თუ ვიმედოვნებთ, არამედ გვრწამს კიდეც, რომ ახალი მეფე დიდებულ მეფის, თავის მამის, ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდებაო. ასკვიტის შემდეგ ილაპარაკა ბალფურმა. მან აღნიშნა ედუარდის ღირსებანი და სთქვა, რომ ედუარდი ინგლისის მეფეებში უსაყვარლესი მეფეთაგანიაო. განსვენებული დიდებული მეფე იყო და მას უნდა მივაწეროთ, რომ მთელი ქვეყანა პატივსა სცემს ინგლისის მშვიდობიან პოლიტიკასო. მუშათა პარტიის წარმომადგენელმა ედუარდმა განაცხადა, მუშათა პარტია ისევე აფასებს განსვენებულ მეფეს, როგორადაც ზემოხსენებული ორატორებიო. დეპუტატთა პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლიუციები. რეზოლიუციების მიღების დროს სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

ლორდთა პალატაში ისეთივე რეზოლიუციები შეიტანეს, როგორიც დეპუტატთა პალატაში. ყველა ორატორებმა აღნიშნეს მეფე ედუარდის ღირსებანი. ახალშენების სტატს-სეკრეტარმა ძლივს დაამთავრა სიტყვა, ისე ღელავდა. ლენსდოუნმა სთქვა, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ყველა სახელმწიფოები აფასებენ მეფე ედუარდის მოღვაწეობას და აღიარებენ, რომ მეფე ედუარდთან ერთად საფლავში ჩავიდა საერთაშორისო ძალი, რომელიც შემდეგშიაც კი გავლენას იქონიებს სახელმწიფოებზედო. რეზოლიუციები ერთხმად მიიღეს. 4 მაისს ორთავე პალატები შეიკრიბებიან და მეფის გვამს ვესტმინისტერის სასახლეში გადაიტანენ.

**პეტერბურგი.** მეფე ედუარდის გარდაცვალების გამო საზღვაო უწყებაში 7 დღით გლოვა გამოცხადდა.

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** 12 ბატალიონი ჯარი ჯაფარ-ტაიარ-ბეის უფროსობით თავს დაეცა ჩერნოლევის გასავალში მდგომ ალბანელებს, რიცხვით—12,000 კაცს. ალბანელებს უფროსობენ ბოლეტინაცი და ჰასან-ჰუსეინი. შეტაკებები დაიწყო 25 აპრილს. 27 აპრილს ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. არტილერიამ მეამბოხეები აიძულა პოზიცია შეეცვალათ. სალდათებმა იერიში მიიტანეს ალბანელებზედ. ჯარს მოუკლეს 5 აფიცერი და 18 სალდათი, დაუჭრეს ბევრი. ალბანელებმა უკან დაიხიეს და ტყეს შეაფარეს თავი. ოფიციალურის ცნობით ჯარმა ჩერნოლევის გასავალი გასწმინდა და პრიზრენისაკენ გზა განთავისუფლდა.

ფერიზოვიჩში ჩავიდა სამხედრო მინისტრი. იქ გაიგზავნა ერთი სარეზერვო ბატალიონი. ტყუილია ის ხმა, ვითომ უსკიუბის ბატალიონები აჯანყებულიყვნენ.

### ტარნოვსკაიას საქმე.

**ვენეცია.** სასამართლოს ტარნოვსკაიას ავადმყოფობის გამო დილით სხდომა არა ჰქონია. საღამოთი ნაფიცმა-ვექილმა კარნელუტტიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ ბრალდებულებმა სრული პასუხი უნდა აგონო. საღამოს სხდომას ტარნოვსკაია არ დასწრებია.

### ჰაერში ფრენა

**პეტერბურგი.** რაიტის ჰაეროპლანით გაფრინდა პოპოვი. დიდი ქარის გამო ჰაეროპლანი 15 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. აპარატი დაიმტვრა, პოპოვი გადარჩა.

**პეტერბურგი.** ჰაეროპლანების გაჯიბრება. რადგანაც მოსამართლეებმა ნება მისცეს პოპოვს გაჯიბრებაში ახალი ჰაეროპლანით მიეღო მონაწილეობა, ამიტომ ფრანგმა ავიატორებმა უარი განაცხადეს ფრენაზედ. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ მოსამართლეებმა დაუთმეს ფრანგ ავიატორებს. ფარმანის ჰაეროპლანებით გაფრინდნენ ედმონდ და ქრისტიანსი, ბლერიოს—მორანი. ორთავე ყოველდღიური პრიზები აიღო ქრისტიანსმა, რომელმაც იფრინა 17 წუთი და 30 წამი. ქრისტიანსმა 5 წუთსა და 15 წამში სამჯერ შემოუარა აეროდრომს. მორანმა იფრინა 5 წუთი და 30 წამი. დასასრულ, ქრისტიანსი მგზავრით გაფრინდა და იფრინა სულ $2^1/_2$ წუთი.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ათინიდან ატყობინებენ: გუშინ მეფის სასახლის წინ ხალხმა მიტინგი გამართა და პროტესტი განაცხადა 70 აფიცრის დათხოვნის წინააღმდეგ, გამოურკვეველ მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ კრიტეს დეპუტატებმა საბერძნეთის მეფის ერთგულობაზედ დაიფიცეს.

**ნიუ-იორკი.** ბერლინში პრეზიდენტ ტაფტის თანადასწრებით წყალში ჩაუშვეს უდიდესი ამერიკულ „დრედნოუტი“ „ფლორიდა“.

**გრენობლი.** იმ მუშის სახლში, რომელმაც თავის სახლის-პატრონს ყუმბარა შეუგდო სახლში, აღმოაჩინეს ყუმბარების ქარხანა. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

**ბერლინი.** დღეს უნივერსიტეტში რუზველტმა იმპერატორის, დედოფლის, პრინცესის და პრინცესების თანადასწრებით წაიკითხა ლექცია მსოფლიო მოძრაობაზედ. რუზველტს დამსწრეები დიდის ამბით დაუხვდნენ. ლექციამ საათ ნახევარი გასტანა. ორატორმა ილაპარაკა ევროპის და კერძოდ გერმანიის კულტურაზედ უკანასკნელ ათასი წლის განმავლობაში და აღნიშნა, რომ გერმანიამ დიდი გავლენა იქონია შეერთებულ შტატებზედაო. მან დაახასიათა სამი უძველესი კულტურა, ებრაელების, ბერძნების და რომაელების. ორატორმა ვრცლად განმარტა გერმანიის კულტურა და მისი მნიშვნელობა მსოფლიო მოძრაობაში. ამასთან ერთად რუზველტმა დაახასიათა იაპონიის კულტურა. ორატორმა სთქვა, კულტურას ერებზედ დიდი ურთიერთი გავლენა აქვსო. მწუხარებასა და მხიარულობაში ერები შეკავშირებულნი არიანო. დასასრულ რუზველტმა ილაპარაკა პატრიოტიზმზედ, რომელიც დამყარებული უნდა იყოს თავის ერის სიყვარულსა და სხვა ერების პატივისცემაზედ. ლექციის დასასრულ რუზველტი ფილოსოფიის საპატიო დოქტორად აირჩიეს.

### აფეთქება

**ლონდონი.** უაიტგევნის ქვის მაღაროებში აფეთქება მოხდა. ამ დროს

მაღაროებში იყო 136 კაცი. ჯერჯერობით ამოიღეს 5 მუშის გვამი. ჰფიქრობენ, რომ დანარჩენებიც დაიღუპნენ.

**მიწის-ძვრა.**

ვენა. 28 აპრილს, საღამოს 9 საათსა და 17 წუთზედ საგრძნობელი მიწის-ძვრა იყო.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** 26—27 აპრილს ეკატერინოსლავში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი; 20—23 აპრილს ბახმუტის მაზრაში ავად გახდა 2 კაცი.

**რ უ ს ე თ ი**

**მოსკოვი.** აღმოჩნდა, რომ საგუბერნიო ხაზინიდან ყალბი საბუთებით 142.000 მან. მოშგებიანი ქაღალდები გაუტანიათ.

**პეტერბურგი.** იალტასა და იმის მაზრაში 1910 წლის 4 სექტემბრამდე გააგრძელეს საგანგებო დაცვის წესები, ხოლო დანარჩენ ადგილებში დასტოვეს გაძლიერებულ დაცვის წესები.

29 აპრილს მოხდა „რუსეთის“ დამზღვევ საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. ხელახლად ამოირჩიეს გამგეობის წევრები გერბერცი, პროზოროვი და უტკინი, რომელთაც გადა გაუთავდათ და უნდა გასულიყვნენ გამგეობიდან. საზოგადოების თანხები 75 მილიონს გადასცილდა, პრემიები დაზღვევის ყველა დარგებში 33 მილიონია თითო აქციაზე მოგებიდან დივიდენდად მიეცა 27 მან. და 50 კ.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი ბოქაულ მაკედონისა და მის თანაშემწის ზელბერგისა. მაკედონს გადაწყვეტილი ჰქონდა ოთხი წლის კატორგა მცარცველთა ბრბოში მონაწილეობის მიღებისთვის, ხოლო ზელბერგს სამსახურის დროს უმოქმედობისათვის ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება.

**მინსკი.** ოსიპოვიჩის ლიანდაგზე ტყეს მოკიდებული ცეცხლი მოსწვდა სახაზინო შუშის საწყობს დიგერცი-დარკანოვის შუა. მოძრაობა შეჩერდა მთელი საათის განმავლობაში. დაიწვა 1200 ოთხკუთხი საჟენი შეშა და 2000 რელსების ქვეშ დასადები ხე.

**ტამბოვი.** დიდი ნიაღვრის გამო პატარა მდინარე სტუდენცი ადიდდა. წყალმა მოჰგლიჯა წისქვილის სათავე, ხიდი, ასწლოვანი ტირიფები. წაიღო აგრეთვე სამი ქალი და ერთი კაცი, რომელნიც წისქვილის ბოგირზე იდგნენ. ოთხივენი დაიხრჩნენ.

**პეტერბურგი.** დამის 10 საათზე გარდაიცვალა სამხედრო და საზღვაო სამღვდელოებათა მოძღვარი ჟელობოვსკი.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ჩხრეკა „დროების“ რედაქციაში.** გუშინ-ღამ, ნაშუაღამევის ორ საათზე გაჩხრიკეს „დროების“ რედაქცია და „სინათლის“ სტამბა, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა. ჩხრეკამ ორ-სამ საათს გასტანა. წაიღეს მრავალი ხელთნაწერი და წიგნი. დააპატიმრეს გაზეთის ექსპედიტორი და სტამბაში პოლიციელნი ჩააყენეს. ამავე ღამეს გაჩხრიკეს რედაქტორი „დროებისა“ ი. აგლაძე, თანამშრომელნი ქ. ქავთარაძე და ხუციშვილი, აგრეთვე წ.-კ. საზოგადოების მდივანი ს. ფირცხალავა. ყველა ამათგან წაიღეს წიგნები და ხელთნაწერები. რედაქტორის ბინიდან წაიღეს გადასათვალიერებლად დიდძალი (ორ ფუთამდე) ქართული ხელთნაწერი, გაზეთის მასალა. ჩხრეკა დაიწყო ნაშუაღამევის 1 საათზე და დასრულდა $5^1/_2$ საათზე. ამ მიზეზით და აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ სტამბა, რომელიც გუშინ შუადღისას კვლავ გაჩხრიკეს, გაანთავისუფლეს მხოლოდ ნაშუადღევის 1 ნახევარ საათზე, დღეს „დროების“ სრული ნომრის გამოცემა ვერ მოესწრო. ამავე მიზეზით, გუშინდელი ნომერი გაზეთისა ქალაქში ვერ გაიყიდა, ხოლო პროვინციელ ხელის მომწერთ ფოსტით გაეგზავნათ მხოლოდ გუშინ ღამ.

✦ **გალლეის კომეტა.** რამდენიმე დღეა ნაშუაღამევის ორ—სამ საათზე აღმოსავლეთის მხარეს უკვე სჩანს გალლეის კომეტა. კომეტას კაი მოზრდილი კუდი აქვს და ყოველ ღამე ბევრი ხალხი იკრიბება ქუჩებში მისს სანახავად.

✦ **ვაგონების დაჯახება.** 28 აპრილს ღამე ბალაჯარასა და ეიბათს შუა მატარებელს უბედურება შეემთხვა. ამ ადგილას შუაზე გასწყდა საქონლის მატარებელი, რომელშიაც 60 დატვირთული ვაგონი იყო. რადგან ადგილი დაქანებული იყო, გაწყვეტილი ნაწილი დაეწია წინა ვაგონებს, დაეჯახა და ათი ვაგონი სულ დაიმსხვრა, ხოლო 27 დაზიანდა. მოკვდა კონდუქტორი მგალობლიშვილი. მძიმედ დაიჭრა ოთხი კონდუქტორი.

✦ **რევიზია.** „ბაკუ“-ს სიტყვით 28 აპრილს პეტერბურგიდან ტფილისში წამოსულა სენატორი რეინკე. რევიზია დაიწყება ტფილისიდან. რეინკეს თანამშრომლებად აურჩევია: მინსკის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე პრესნიაკოვი, სამოსამართლო პალატის წევრები იაკუბოვსკი, კრასნიანსკი და აგიშევი, პროკურორები კიევისა — ბრანდორფი, მოსკოვისა—სმიტენი, გამმიჯნავ ნაწილის გამგე რავსკი, იუსტიციის მინისტრის საგანგებო საქმეთა მოხელე გოლმანი და სხვები.

✦ **გზათა ოლქის რევიზია.** „ბატ. ვესტის“ ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, რომ მალე მოხდება რევიზია კავკასიის გზათა ოლქისა. რევიზია მოხდება სენატორის გარინის თავმჯდომარეობით.

✦ **ბავშვის გაჭყლეტა.** 29 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, სადოკოი ქუჩაზე ტრამვაის ვაგონ ქვეშ მოჰყვა 14 წლის ბავშვი კევორკ ბაიანდურიანცი (გაზეთების გამყიდავი) და მძიმედ დაშავდა. იგი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ 27 აპრილს საღამოს 8 საათზე ტფ. მოქალაქის ცოლი მარია მარკის ასული მაკედონსკისა, რომელიც ორბელიანის ქუჩაზე სცხოვრობს, თავის დახრჩობის განზრახვით ვანქის სობოროს მახლობლად მტკვარში გადავარდა. დახრჩობას გადაარჩინეს მიხეილის საავადმყოფოს მღვდელმა დავით ბარნაბაშვილმა და ტფ. მოქალაქე დავით ალავიძემ.

# შავი-ქვის მრეწველთა კრება

**26 და 27 აპრილი**

მრეწველთა კრება დაიწყო. ხალხი ნაკლებად დაესწრო. ხმის უფლება 200-ზე მეტ კაცსა აქვს, ხოლო კრებაზე კი 10—15 კაცი თუ გამოცხადდა. ეჭვი არ არის, ასეთ აბსენტიზმის მიზეზი უმთავრესად კრიზისია, მაგრამ ამას გარდა მრეწველთა ნაწილს უნდა, რომ კრება ჭიათურაში მოხდეს და ფიქრობენ, რომ იმათი მოუსვლელობა ქუთაისში იმოქმედებს და კრებას ჭიათურაში გადაიტანენ. ალიძრა კიდევაც პირველ კრებაზე ლაპარაკი კრების გადატანის შესახებ ჭიათურაში. ისიც გავიგეთ, რომ კრების თავმჯდომარეს, ბ-ნ ჩენგერის, ჭიათურიდან დეპეშა მოსვლია ამავე საგნის შესახებ, მაგრამ საქმე არ შეცვლილა და კრება შემდეგ დღისათვის გადაიდო.

27 აპრილს, ოქმის წაკითხვის შემდეგ, კრება თავმჯდომარის წინადადებით პროგრამის მეექვსე მუხლის გარჩევას შეუდგა.

ბ-ნ გ. ზდანოვიჩის სიტყვიდან გამოირკვა, რომ მრეწველთა კრებამ სხვა საზოგადო დაწესებულებებთან ერთად მოინდომა დახმარება უმაღლეს სასწავლებლის დასაარსებლად კავკასიაში, მაგრამ სამინისტროს ეს საკითხი ამოუშლია განსახილველ საგანთა სიიდან. მერე განუზრახავთ ხელის მოწერით ფულის შეგროვება და დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ესეც ვერ მოგვარებულა და ამიტომ მრეწველთა საბჭოს საკითხი უმაღლეს სასწავლებლის დახმარების შესახებ კვლავ შეუტანია განსახილველად.

როგორც კამათიდან გამოირკვა, უმრავლესობა მომხრე იყო უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა ტფილისში და არა ბაქოში. რათა ამ მხრით მრეწველთა კრება ხელშეკრული არ იყოს, მან დაადგინა, ყოველ წლიწადს იქონიოს მსჯელობა დახმარების რაოდენობის შესახებ, ხოლო წლეულს ფულის რაოდენობაზე კრება მსჯელობას იქონიებს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

ამის შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის მერვე მუხლის განხილვას. ეს მუხლი ეხება ქალთა პროგიმნაზიის დაარსებას ჭიათურაში. საჭიროება პროგიმნაზიის დაარსებისა ჭიათურაში აღიარა 1908 წლის კრებამ, მაგრამ უსახსრობისა გამო მაშინ მრეწველია კრების საბჭომ თავზე ვერ იდო და სამაგიეროდ ქალთა კერძო სასწავლებელს ჭიათურაში დაენიშნა წლიურად 2000 მანეთი. ეხლა მრეწველია საბჭომ, ბ-ნ გ. ზდანოვიჩის პირით, ამცნო კრებას, რომ ქალთა პროგიმნაზიის შენახვა დაჯდება არა ნაკლებ 7610 მანეთისა წლიწადში და ისიც იმ პირობით, რომ მასწავლებლებს ექნებათ მეტად მცირე სასყიდელი. მაგალითად, მასწავლებლის წლიური ჯამაგირი 540 მ. შეადგენს, პროგიმნაზიის გამგეს 30 გაკვეთილიც რომ მისცეს, მიიღებს 900 მანეთ და სხვა. ეჭვი არ არის, მიიღებს თუ არა საბჭო ამ კერძო სასწავლებელს თავის მფარველობის ქვეშ, ხარჯი გადიდდება. ამ გარემოებამ ბევრნი შეაფიქრიანა.

**ხარ. მოსეშვილმა,** ამას ის მოსაზრებაც დაუმატა, რომ მრეწველნი უმთავრესად უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ მარგანეცის რაიონის სოფლებში დაარსდეს სკოლები, თუმცა ბ-ნი მოსეშვილი პროგიმნაზიის საჭიროებას უარს არა ჰყოფდა. თუ გადაწყვეტილობაზე წავა საქმე, სთქვა ბ-მა მოსეშვილმა, ჩვენ 1908 წელს გადავწყვიტეთ ყოველს სოფელში დაგვეარსებინა სასწავლებელი, ამ ჟამად-კი შუქრუთის გარდა სასწავლებელი არსად არ არის. ჯერ უპირველესი საჭიროება დავაკმაყოფილოთ და მერე პროგიმნაზიაც დავაარსოთ. მანამდის-კი სუბსიდია ვაძლიოთ არსებულ ქალთა კერძო სასწავლებელს.

**თავ. ს. ე. წერეთელი.** ქალთა სასწავლებელი ძალიან საჭიროა. არსებული კერძო სასწავლებელი ვეღარ შესძლებს გაუძლვეს საქმეს, რადგან კრიზისის გამო სწავლის ფულის გადახდას ვერავინ ახერხებს. თუ მრეწველთა კრებამ არ მიიღო სასწავლებელი, იგი მალე დაიხურება. საკითხი პროგიმნაზიის დაარსების შესახებ დიდი ხანია გადაწყვეტილია და ამაზე ლაპარაკი ეხლა მეტია.

**პერსენაკიც** მიემხრო პროგიმნაზიის დაარსების აზრს და მოტივად ბ-ნ მოსეშვილის მოსაზრების წინააღმდეგ ის მოიყვანა, რომ ჭიათურა და იქ დასაარსებელი სასწავლებელი ჩვენი უახლოვესი საგანია, ხოლო სოფლის სკოლების დაარსება მერეც შეიძლებაო.

კრებამ დაადგინა: არსებული კერძო სასწავლებელი ჭიათურაში მიიღოს თავის გამგეობაში თუ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს შესაძლებელი გახდება ამისათვის საჭირო თანხის (7600 მ.) გადადება.

ქუთაისის ქიმიურ ლაბარატორიის პატრონი რომანოვი თანახმაა 2000 მანეთად გაკეთდეს 500 ანალიზი კრების საჭიროებისათვის და 1500 მრეწველისთვის ნახევრად დაკლებულ ფასად. როცა ამ საგანზე გვქონდა მოლაპარაკება საბჭოში, რამდენმამე მრეწველმა განაცხადა, სასურველია ლაბორატორიის განყოფილება ჭიათურაში დაარსდეს, რომ ანალიზების მოხდენა გაადვილდესო. რომანოვს თანხმობა განუცხადებია განყოფილების დაარსების შესახებ იმ პირობით, თუ 2000 მანეთის მაგივრად 3500 მ. მისცემენ. საქმის გასამართებლად სიტყვა მიეცა თვით რომანოვს, რომელიც მეტად პირ წყლიანი ორატორი, გამოდგა. იმის ნალაპარაკევიდან გამოირკვა, რომ ლაბორატორია საჭიროა სამთომადნისთვის. სთქვა ისიც, თუ რა პირობით იკისრებს ლაბორატორიის განყოფილების გახსნას ჭიათურაში.

**ბ-ნი პერსენაკი, სოლ. ე. წერეთელი** და სხვები მიემხრნენ ამავე აზრს და საფიქრებელი იყო, რომ კრება მიიღებდა მას, მაგრამ ბ-მა მეძმარიაშვილმა აღძრა საკითხი საკუთარ ლაბორატორიის დაარსების შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ 3500 მ. წლიურად თავს აუვა ამ საქმესაო. კრებამ ამ საქმის გამოსარკვევად ისურვა კომისიის არჩევა, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე მოისმინოს მისი მოხსენება საკუთარ ლაბორატორიის დაარსების შესახებ. კომისიაში აირჩიეს: ს. ე. წერეთელი, პერსენაკი, მეძმარიაშვილი, რომანოვი და გრინევი.

შემდეგ ზდანოვიჩმა წარუდგინა კრებას სტატისტიკური ცნობები. ამ ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ 1909 წლის განმავლობაში:

| | ფუთი: |
|---|---|
| გამოუტანიათ მაღაროებიდან | 36.000.000 |
| გაუტანიათ: რკინის გზით | 37.221.000 |
| ურმებით შუქრუთამდე . . | 1.051.000 |
| გაგზავნილა ფოთიდან . . . | 33.157.000 |
| ბათუმიდან . . . . . | 1.930.000 |
| საწყობებზე ჭიათურაში 1 იანვარს ყოფილა . . | 64.000.000 |
| 1909 წ. ინდოეთიდან გაუტანიათ . . . . | 39.000.000 |
| 1907 წელს კი . . . . | 28.000.000 |

აქედანა სჩანს, რომ თუმცა ტარიფს $1^1/_2$ კაპეიკი დაუკლეს, მაგრამ რკინის გზის შემოსავალი არ შემცირებულა, პირიქით მომატებულა. რკინის გზის მოხელენი კი, როცა ტარიფის დაკლებაზე ყოფილა მსჯელობა, წინააღმდეგს ამტკიცებდნენ. გარდა ამისა გამოირკვა, რომ საზოგადოდ მრეწველობა დიდს გასაჭირს განიცდის. ყველა, მუშიდან დაწყებული მსხვილ მრეწველამდე, ზარალობს დაცემულ ფასების გამო და მარტო რკინის გზაა მოგებაში დღევანდელ პირობებში. მიუხედავად ამისა, იგი არაფერ ღონეს არა ხმარობს, რომ შეუმსუბუქოს მრეწველობას დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა.

28 აპრილი.

ამ დღეს კრება შეუდგა პროგრამის მეცხრე მუხლის განხილვას. ეს მუხლი ეხება რკინის გზით მადნის გადატანის გაუმჯობესებას. პირველად კრებამ მსჯელობა იქონია ჭიათურის შტოს ვიწრო ლიანდაგის გაგანიერებაზე. აქ განმეორდა იგივე საბუთები, რომელიც არა ერთხელ თქმულა ამ საგნის შესახებ. ითქვა ისიც, რომ თვით სამინისტრომ სცნო საჭიროდ ლიანდაგის გადაკეთებაო; გამოირკვა ისიც, თუ რამდენი ფული დასჭირდება ამ საქმეს და სხვა. მაგრამ ვიწრო ლიანდაგი, თავის უხერხულობით, დღესაც მძიმე უღლად აწევს შავი-ქვის მრეწველობას და არც იმედია, რომ დღევანდელი მდგომარეობა შეიცვლება. კრებამ კვლავ გამოსთქვა სურვილი, რომ ლიანდაგი გაფართოვდეს და შუამდგომლობის აღძვრა მიანდო საბჭოს.

როცა კრება შეეხო ნორმალურ საიჯარო ფასების დაწესებას რკინის გზის საწყობებზე, ბევრი რამ საგულისხმო ითქვა.

**თ—დ ივ. ნიჟარაძემ** აღნიშნა ის გარემოება, რომ 10 წლის წინად წლიური საიჯარო გადასახადი საწყობებზე 50 კ. არ აღემატებოდა თითო ოთხკუთხ საჟენზე და ამასთან რკინის გზა რამდენიმე წლით ეკვროდა პირობით მოიჯარადრეს. ეხლა პირობა იწერება ერთი წლის და თითო საჟენის გადასახადი 3—5 მანეთია ყოველ წლიწადს უნდა მოველოდეთ, რომ ეს ფასი აიწევსო. ამის შემდეგ რა-ღა გასაკვირველია, სთქვა თავ. ნიჟარაძემ, რომ ჩვენი მრეწველობა დღითი დღე უკან—უკან მიდის, ხოლო ბრაზილიისა და ინდოეთის მადანი-კი პირველ ადგილს იჭერს საერთაშორისო ბაზარზე.

**კარ. მოსეშვილი.** დარწმუნებული ვარ, როცა რკინის გზამ შეისყიდა ადგილები, სადაც ეხლა საწყობებია, საჟენში 20 კაპეიკიც კი არ მისცა. ეხლა გარდა იმისა, რომ ჩვენ 3—5 მანეთს გვახდევინებს საჟენში, ჩვენვე მოვალეთ გვხდის გავაკეთოთ პლატფორმები, თითო საჟენ ლიანდაგის რემონტში ვიხადოთ 2 მან. ყოველ წლიურად, ჩვენვე ვიხადოთ იმ ვითომ და „სტრელოჩნიკის“ შენახვა, რომელიც ქაღალდზე თუ არსებობს სადმე, თორემ ნამდვილად არავის უნახავს. ყოველივე ეს საქმეს აფუჭებს საქმეს და ძალა უნებურად იბადება კითხვა—როდის მოეღება ბოლო ასეთ შევიწროვებასაო.

**ბ ნნი ბუტენკო და მაჭავარიანი** ამბობდნენ, რომ ადგილების იჯარით გაცემის საქმე მოწესრიგებული არ არის და ამიტომ მათი აზრით მრეწველთა კრებამ ამ საგნის შესახებ თავისი სურვილები უნდა გამოსთქვას და წარუდგინოს რკინის გზის საბჭოს, რომელიც განიხილავს და წესიერებას შეიტანს საქმეში.

**გ. ზდანოვიჩი.** წინ და წინვე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რკინის გზის მოქმედებას ადგილების იჯარით გაცემაში, მე უნდა ვუწოდო „მიწის მევახშეობა“.

ამის მსგავსი მოვლენა არსებობს სამხრეთ დასავლეთ რუსეთში, სადაც ადგილების პატრონები სარგებლობენ იმით, რომ მათ ადგილებზე მოიჯარადრეთა სახლები და სხვა შენობებია და იჯარის ფასს უმატებენ. ასეთს არა ნორმალურ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია თვით მთავრობამ და შესაფერი პროექტი შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში კერძო მესაკუთრეთა ასალაგმავად. ეს პროექტი (о правѣ застройки) უკვე განიხილა და მიიღო სათათბირომ. ჩვენ და ნავთის მრეწველებმა არა ერთხელ აღვძარით ამ საგანზე შუამდგომლობა, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგან გზამ კარგად იცის, რომ პლატფორმის პატრონი ადვილად ვერ დასთმობს და ამიტომ იჯარას ყოველ წლიწადს უმატებს. აი ამას ვუწოდებ მე „მიწის მევახშეობას“. როცა საქმე თვით რკინის გზას ეხება, იგი სხვანაირად იქცევა. რკინის გზა ჩვენგან სარგებლობს ელექტრონის სინათლით. თითო კილო-უატ საათში ვახდევინებთ 30 კაპ. იმდროს, როცა ტფილისში ახდევინებენ 35 კაპ. მიუხედავად ამისა, რკინის გზამ წინადადება მოგვცა ელექტრონის სინათლის ფასს დაუკლეთო და თან დასძინა...

**თავმჯდომარე.** ეგ საქმეს არ ეხება...

**გ. ზდანოვიჩი.** ასეა თუ ისე, ზომები უნდა მივიღოთ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ რკინის გზის საბჭო იქონიებს მსჯელობას ამ საგანზე, თუ ჩვენ წარვადგენთ მოსაზრებას, მაგრამ სასურველია, რომ თათბირში მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა წარმომადგენლებმაც.

კრების თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ დაადგინა: აირჩიოს კომისია, რომელსაც მიენდოს ნორმალურ პირობების შემუშავება, ეთხოვოს რკინის გზის საბჭოს, რომ თათბირის დროს მოიწვიოს შავისქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელი და ორი მრეწველი სათათბირო ხმით. კომისიაში აირჩიეს: რ. ანჯაფარიძე, ხარ. მოსეშვილი, ბელია და პერსენაკი.

რკინის გზის ლიანდაგის რაიონის მისავალ გზების გაუმჯობესების შესახებ ზდანოვიჩმა აღნიშნა, რომ რკინის გზა წესიერად ვერ ინახავს ამ გზებს და, გარდა ამისა, ამ გზებს ლიანდაგზე გადასავალი გზები არა აქვთ, რაც მეტად აფერხებს მადნის მიტანის საქმეს პლატფორმებზე.

**ინ. ბუტენკო** დაეთანხმა ზდანოვიჩს, მაგრამ ამასთან დასძინა, რომ ამ საქმეში დამნაშავენი თვით მრეწველთაც მიუძღვით, რადგან ვიწრო „ტუპიკებს“ აკეთებენ და ამას გარდა ისედაც ვიწრო გზებს მადნით ავსებენ, რაც მოძრაობას აფერხებს.

**ზდანოვიჩის** აზრით, ამ საქმის მოწესრიგება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზის აგენტი და ჩვენის ტეხნიკურ განყოფილების წარმომადგენელნი ერთად განიხილავენ საქმეს ადგილობრივად.

ამ აზრს მიემხრო კრება, რომელმაც საბჭოს დაავალა შესაფერ ზომების მიღება.

ხიდის გაკეთება ლიანდაგის ერთი მხრიდან მეორეზე გადასასვლელად საჭიროდ სცნეს როგორც რკინის გზის წარმომადგენლებმა, ისე მრეწველებმა. ამასთანავე ისიც გამოირკვა, რომ რკინის გზის გამგეობას არა ერთხელ შეუტანია ხარჯთ აღრიცხვაში საჭირო თანხა ამ ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ საბიუჯეტო კომისიას არ შეუწყნარებია.

**ა. გამრეკელმა** ისიც აუწყა კრებას, რომ არსებული ხიდიც, რომელიც ჭიათურელებს აუშენებიათ და მერე მრეწველთა საბჭოს შეუკეთებია, რკინის გზის ხელში გადასულა მას შემდეგ, რაც ზედ წყლის მილები დაულაგებიათ. დროთა ვითარებით ხიდი გაფუჭებულა და რკინის გზა, დღევანდელი მისი პატრონი, არ აკეთებს და ამიტომ ხალხი ვერ სარგებლობს.

კრებამ დაადგინა: იშუამდგომლოს რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რომ ჭიათურასა და ჰქ-ურში გააკეთდეს ლიანდაგზე ახალი ხიდები, ხოლო არსებული ხიდი შეკეთდეს.

ფარდულების გაკეთების შესახებ მარგანეცის პლატფორმებზე გამოირკვა, რომ არსებულ კანონით რკინის გზა ვალდებული არ არის ეს ხარჯი გასწიოს. რაც შეეხება ზომებს, რომ მადანი ვაგონებში არ სველდებოდეს, კრებამ, მიიღო-რა მხედველობაში ერთის მხრით ის გარემოება, რომ ჭიათურიდან გაგზავნილი მადანი ვაგონი ფუთამდის 20—30 ფუთს იკლებს და მეორე მხრით ის, რომ უკანასკნელ დრომდე რკინის გზა ყოველ ვაგონზე 15 ფუთ მადნის გამოკლებით ახდევინებდა გატანის ფასს, დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ განახლდეს წინანდელი წესი ტარიფის აღრიცხვისა.

ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის მოხსენება კრებამ მხედველობაში მიიღო და შემდეგ აირჩია ორი კომისია—ერთი ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და მეორე—კრებაზე დამსწრეთა ხმების შესამოწმებლად. პირველში აირჩიეს: ნ. ქუთათელაძე, ბ. მოსეშვილი, ს. ე. წერეთელი, ი. საეტი და პერსენაკი; მეორეში: ილ. საეტი, ინჟ. ცეიტლინი, ზიფერტი და ნ. წერეთელი.

კრება გადაიდო მეორე დღისთვის.

# თეატრი და ხელოვნება

**გედევანოვის იუბილეი.** სომეხთა განმანათლებელი საზოგადოების „ლუისის“ გამგეობამ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს არტისტის გ. გედევანოვ-მირაღიანის იუბილეიში. ადრესის მისართმევად გამგეობამ ორი წარმომადგენელი აირჩია.

—

**სახალხო სახლი.** 29 აპრილს ქალაქის გამგეობის სადგომში თავ. ა. მ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით მოხდა კრება სახალხო სახლთან არსებულ ყველა სექციის წარმომადგენლების. კრებას პირველად მსჯელობა ჰქონდა სხვა და სხვა შინაურ საქმეებზე, განსაკუთრებით ხარჯების შემცირებაზე. ამ საგნის შესახებ მოხსენების შესადგენად კრებამ სამი კაცისაგან საგანგებო კომისია აირჩია. კრებამ ამასთან საჭიროდ სცნო სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ სახალხო სახლში ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით დიღ ფასიან წარმოდგენების გამართვის ნება არავის მისცეს, რადგან ამ დღეებში იქ ხელმოკლე ხალხი დაიარება.

—

**შუამდგომლობა.** სახალხო სახლთან არსებულ სექციათა კრებამ დადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ სახალხო სახლი ზაფხულში ორის თვით დაჰკეტოს, რადგან ამ დროს ხალხი აღარ დაიარება.



რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.